



ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ქეთევან ამანათაშვილი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების
პრინციპები შპს მონოლით ჯგუფის მაგალითზე

სამაგისტრო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირება

ნაშრომი შესრულებულია ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი

ნადეჟდა კვატაშიძე

თბილისი

2020

ანოტაცია

თანამედროვე რეალობაში ხშირია საწარმოთა გაერთიანება. ამის ძირითადი მიზეზია ერთობლივი საქმიანობით წარმოქმნილი სარგებელი, რომელსაც დებულობენ ჯგუფში შემავალი კომპანიები. საწარმოთა ჯგუფი ამზადებს როგორც ინდივიდუალურ, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რათა წარმოდგენილ იქნეს ჯგუფის აქტივები, ვალდებულებები და კაპიტალი, როგორც ერთი სამეურნეო ერთეული. იმისათვის, რომ ფინანსური ანგარიშგება არსებული და პოტენციური ინვესტორებისათვის იყოს გამჭვირვალე და საიმედო, იგი მომზადებული და წარდგენილი უნდა იყოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით.

ნაშრომში განხილულია ინდივიდუალური და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსი, მომზადების პრინციპები და პროცედურები. მოცემული ნაშრომის მიზანია წარმოაჩინოს ინდივიდუალური და კონსოლიდირებული ანგარიშგების მნიშვნელობა და ის მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. კვლევაში ყურადღება გამახვილებულია ისეთ საკითხებზე, როგორცაა: კონტროლის იდენტიფიცირება, აქტივების, ვალდებულებების, კაპიტალის, გუდვილის და არამაკონტროლებელი წილის აღიარება და შეფასება; ჯგუფის გაუნაწილებელი მოგების განსაზღვრა. ნაშრომში ასევე განხილულია კონსოლიდაციის პროცედურების საკითხები.

ნაშრომის მეორე თავი ეთმობა ზემოთ განხილული საკითხების პრაქტიკაში განხორციელებას შპს მონოლით ჯგუფის მაგალითზე. წარმოდგენილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების ყველა პროცედურა და გაანალიზებულია მისი შესაბამისობა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან.

Anotation

The unification of enterprises is very common and frequent nowadays in modern reality. The major reason for this is the benefits and profits of joint ventures among the companies in the group. The enterprise group prepares both individual and consolidated financial statements to represent the assets of the group, liabilities and equity as a whole. In order for a financial report to be well perceptible and very much suitable, it has to be prepared and presented of course in accordance with international standards of accounting system.

The following work paper discusses the essential point of individual and consolidated financial reports, the important principles and procedures of its preparation. The main purpose of this paper is to highlight the importance of the individual and consolidated financial reporting and all those important issues and points that should be considered and taken into account when we draw up consolidated financial statements. The given study mainly focuses on the topics such as the existence of control, the determination of the assets, liabilities and responsibilities, Goodwill capital assets, non-controlling shares the same for minority interest and also the determination of the unshared earnings and profits of the group. Issues related to the elimination of intragroup operations are also hereby described in the following work.

The second chapter of the paper is fully devoted to the implementation of the subjects discussed above according to the example of a specific organization. You will find all the necessary and considerably important keys in order to make and prepare a consolidated financial statement based upon the practical example. In conclusion, the paper discusses how the company consolidates a financial report in accordance with international standards of accounting as well as the international financial reporting standards for sure.

შინაარსი

შესავალი	4
თავი 1. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პრინციპები	
1.1. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსი და მნიშვნელობა	7
1.2 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პრინციპები	11
თავი 2. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება შპს „მონოლით ჯგუფის“ მაგალითზე	
2.1. ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	28
2.2. მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება	37
2.3. ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება	40
2.4. კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება	44
დასკვნა	51
გამოყენებული ლიტერატურა	54
დანართი	55

შესავალი

თემის აქტუალობა

ყველა კომპანიას ეფექტური ფუნქციონირებისათვის სჭირდება სტრატეგიული მართვა. იმისათვის რომ მართვა იყოს წარმატებული, აუცილებელია რომ მმართველი რგოლი, მფლობელები და ამ ჯაჭვში ჩართული სხვა სტრუქტურები ფლობდნენ გამჭვირვალე და საიმედო ინფორმაციას სამართავი ობიექტის შესახებ.

ასეთ ინფორმაციას წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგება თავისი სრული კომპონენტებით, რომლებიც უნდა იქნეს მომზადებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტების დაცვა უზრუნველყოფს ინფორმაციის შესაბამისობას სამეურნეო ოპერაციების ეკონომიკურ შინაარსთან და სამართლიანი ინფორმაციის წარდგენას.

ფინანსური ანგარიშგება ასახავს კომპანიის ფუნქციონირებადობის სხვადასხვა ასპექტს, მოიცავს ინფორმაციას შემოსავლების, ხარჯების, აქტივების, ვალდებულებების და კაპიტალის შესახებ, რაც იძლევა ეკონომიკური რესურსებისა და მოსალოდნელი რისკების შეფასების საშუალებას.

როდესაც არსებობს საწარმოთა ჯგუფი, მნიშვნელოვანია ჯგუფის საერთო შედეგის შეფასება, რისთვისაც ხდება ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდაცია. ამ შემთხვევაში ინფორმაცია წარმოდგენილია როგორც ერთი სუბიექტის საქმიანობით მიღებული შედეგი.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საწარმოთა მფლობელებისათვის, არამედ პოტენციური ინვესტორებისთვისაც, რათა უფრო ნათლად და საიმედოდ მიიღონ ინფორმაცია ინვესტიციის მომავალ შედეგებსა და რისკების შესახებ, რადგან ჯგუფში შემავალი კომპანიები არაპირდაპირი გზით გავლენას ახდენენ ერთმანეთის საქმიანობაზე.

კვლევის ობიექტი:

კვლევის ობიექტია სამშენებლო კომპანიები, მათ მიერ განხორციელებული ინვესტიციები, აღრიცხვის მეთოდები და სისტემები, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების ის პრინციპები, რომლითაც მიიღწევა დასახული მიზანი.

კვლევის მიზანი:

კვლევის მიზანია სამშენებლო ბიზნესში საწარმოთა ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების თავისებურებების დადგენა, მათი გათვალისწინება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების გამოყენების დროს და შემდგომში მიღებული შედეგების ანალიზი.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე შემუშავდება რეკომენდაციები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პრინციპების შესახებ, რათა ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავდეს საწარმოთა ჯგუფში არსებულ ფინანსურ მდგომარეობას.

კვლევის ამოცანები:

შესასწავლი ობიექტიდან გამომდინარე დაიგეგმა შემდეგი სახის ამოცანები: აქტივების შეფასება რეალური ღირებულებით, ასევე გუდვილისა და არამაკონტროლებელი წილის განსაზღვრა. შედგენილი ანგარიშგების საიმედობის შეფასება; ანგარიშგების მიხედვით სხვადასხვა კოეფიციენტების გაანგარიშება და შეფასება კომპანიის საქმიანობისა; შედეგებიდან გამომდინარე კომპანიის სუსტი და ძლიერი მხარეების გამოყოფა და რეკომენდაციების გაწევა, რათა საწარმოთა ჯგუფში დაინერგოს აღრიცხვიანობის ისეთი სისტემა, რომლის შედეგადაც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები:

კვლევა ემყარება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს, ნორმატიულ აქტებსა და კანონებს, ქართველ და უცხოურ სამეცნიერო ნაშრომებს.

კვლევის ფარგლებში წარმოდგენილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სარეგებლიანობა, განხილულია ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდაციის კრიტერიუმები. კვლევაში აღინიშნა იმ პროცედურათა თანმიმდევრობის შესრულების

მეთოდები, რომლებიც განაპირობებენ ანგარიშგებათა კონსოლიდაციის ეფექტურად წარმართვას.

საწარმოში შეტანილ იქნა ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში, რითაც შესაძლებელი იქნება მომავალში კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად.

ჩატარებული კვლევის შედეგად შეფასდა კომპანიის მიერ განხორციელებული ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდაციის პროცედურების შესაბამისობა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან და გაიცა გარკვეული რეკომენდაციები.

თავი 1. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პრინციპები

1.1 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსი და მნიშვნელობა

ქვეყანაში მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება სულ უფრო აქტუალური ხდება. 2013 წლის ნოემბერში, საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას. ამით ქვეყანამ აიღო ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტის და კორპორაციული მართვის სფეროებში ევროკავშირის კანონების და ნორმატიული აქტების კრებულით დადგენილი სტანდარტების დანერგვის ვალდებულება. რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში არსებული კანონმდებლობის მიხედვით, კომპანიებს აქვთ ვალდებულება დანერგონ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრული ნორმები და წარადგინონ ფინანსური ანგარიშგება ფასს-ების დაცვით. [1,6] გარდა ამისა, 2017 წლიდან საქართველო გადავიდა ე.წ. ესტონური მოდელის დაბეგვრის რეჟიმზე. აღნიშნული კანონმდებლობის მიზანია დაბეგვრის რეჟიმის შემსუბუქება კომპანიათა ჯგუფებისათვის, რაც ხელს უწყობს და ასტუმულირებს საწარმოთა ჯგუფების შექმნას. შედეგად იმატებს მოთხოვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენაზე.

საწარმოთა გაერთიანების შედეგად ხდება გასაღების ახალი ბაზრების მოძიება, სრულყოფილი ტექნოლოგიებისა და კონკურენტული პროდუქციის მოძიება. იზრდება საწარმოო მასშტაბები და კონკურენტუნარიანობა. უმნიშვნელოვანესი მიზეზი, რის გამოც ხდება საწარმოთა გაერთიანება, არის სინერგია ანუ ერთობლივი საქმიანობით მიღებული სარგებელი, რაც გამოხატულია დანახარჯების, კონკურენციის შემცირებითა და მოგების გაზრდით.

აქედან გამომდინარე, ფრიად აქტუალური და მნიშვნელოვანი გახდა საწარმოთა ჯგუფების შექმნა და შესაბამისად, ინდივიდუალური და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება მაღალი ხარისხით, რაც მოიცავს ფინანსური ინფორმაციის გამჭვირვალობას, საიმედოობის მაღალ დონეს.


ფინანსური ანგარიშგების მომზადების მაღალი ხარისხი აუმჯობესებს ბიზნეს გარემოს და იძლევა გამჭვირვალე ინფორმაციას, ზრდის მის ხარისხს, რაც ხდება ინვესტორებისათვის საიმედო.

ბიზნეს საქმიანობაში ხშირად ვხვდებით საწარმოთა გაერთიანებას, რომელიც წარმოადგენს საწარმოთა ჯგუფს. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არის საწარმოთა ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება. ჯგუფის წევრები არიან დამოუკიდებელი იურიდიული პირები, მაგრამ ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებული მხარეები, სადაც ერთი საწარმო აკონტროლებს და მართავს დანარჩენ საწარმოებს. საწარმო, რომელიც აკონტროლებს დანარჩენ ორგანიზაციებს არის მშობელი საწარმო, ხოლო რომელსაც აკონტროლებს - არის შვილობილი საწარმო.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება მშობელი საწარმოსა და შვილობილი საწარმოების აქტივები, ვალდებულებები, საკუთარი კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯები და ფულადი ნაკადები ისე, როგორც ერთი იურიდიული სუბიექტის აქტივები, ვალდებულებები, საკუთარი კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯები და ფულადი ნაკადები. ხშირ შემთხვევაში საწარმოთა ჯგუფის შიგნით ადგილი აქვს სამეურნეო ოპერაციებს, რომლებიც ჯგუფის საერთო სურათს არ ცვლის, თუმცა სახეს უცვლის ცალკეული საწარმოების ფინანსურ შედეგს. იმისათვის, რომ არ მოხდეს არასწორი ინფორმაციის მიწოდება მომხმარებლებისათვის, საჭიროა მომზადდეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, რომელშიც წარმოდგენილია ინფორმაცია ისე, როგორც ერთი იურიდიული პირის მიერ მომზადებული ფინანსური ანგარიშგება. ასეთი სახით მომზადებულ ანგარიშგებაში ელიმინირებულია ყველა შიდა ჯგუფური ოპერაცია, რათა არ მოხდეს საბოლოო შედეგის დამახინჯება აქტივების/ვალდებულებების არარეალური ღირებულებით და არარსებული მოგების ასახვით.

ყველა საწარმო კანონმდებლობისა და მოთხოვნის შესაბამისად წარადგენს ფინანსურ ანგარიშგებას. მშობელი საწარმო წარადგენს როგორც კონსოლიდირებულ (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არის კონსოლიდაციისგან განთავისუფლებული), ასევე ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება არის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამატების სახით წარმოდგენილი ანგარიშგება, რომელსაც წარადგენს საინვესტიციო საწარმო, რომელიც ფლობს შვილობილ, მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს. ამდენად, კომპანია, რომელსაც არ აქვს ინვესტიციები განხორციელებული სხვა საწარმოში, არ წარადგენს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას. მას აქვს ჩვეულებრივი დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალდებულება.



ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება უშუალოდ მშობელი საწარმოს აქტივები, ვალდებულებები, განხორციელებული ინვესტიციები, საკუთარი კაპიტალი, შემოსავლები და ხარჯები.

ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში საწარმოს განხორციელებული ინვესტიციები შეუძლია ასახოს:

- თვითღირებულების მეთოდით;
- რეალური ღირებულების მეთოდით;
- წილობრივი მეთოდით. [9, 310]

ბასს-27 ინდივიდუალურ ანგარიშგებას განიხილავს, როგორც ფინანსური ანგარიშგების მეორე კომპლექტს და შესაძლებელია წარდგენილ იქნას ნებისმიერ შემდეგ ანგარიშგებასთან:

ა) კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან, მომზადებული ერთ-ერთი მშობელი საწარმოს მიერ ;

ბ) კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან, მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენისაგან განთავისუფლებული მშობელი საწარმოს მიერ;

გ) ისეთი სუბიექტის მიერ მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან, რომელიც არ არის მშობელი საწარმო, მაგრამ არის ინვესტორი ასოცირებულ საწარმოში ან არის ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოს სრულფლებიანი მონაწილე. როდესაც კომპანია წარადგენს კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას, აუცილებელია, რომ მან ერთი და იგივე სააღრიცხვო პოლიტიკა გამოიყენოს ყველა კატეგორიის ინვესტიციისათვის.

არის შემთხვევები, როდესაც ორგანიზაცია განთავისუფლებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენისაგან და შეუძლია წარადგინოს მხოლოდ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგება. ასეთ შემთხვევაში ბასს-27-ის მიხედვით მან ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს:

- რომ საწარმომ გამოიყენა კონსოლიდაციისგან განთავისუფლების უფლება და წარდგენილი ანგარიშგება არის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება;
- შვილობილ, ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებში დაბანდებული მნიშვნელოვანი ინვესტიციების სია, სადაც მითითებული იქნება ინვესტირებული საწარმოს სახელწოდება, მათი საქმიანობის ადგილი, ფლობილი საკუთრების პროცენტული წილი;
- ინვესტირებულ საწარმოებში ინვესტიციების აღრიცხვის მეთოდების აღწერა.

1.2 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პრინციპები


კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა ის პრინციპი რომელიც განსაზღვრულია ფინანსური ანგარიშგების წარსადგენად [12, 5]. ეს პრინციპებია:

- პროფესიული განსჯის პრინციპი;
- რეალური ღირებულების კონცეფცია;
- გაუფასურების კონცეფცია;
- ფულის დროითი ღირებულების კონცეფცია
- ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი
- ოპერაციის შინაარსის ფორმაზე აღმატებულობის პრინციპი.

იმისათვის, რომ საწარმომ წარმოადგინოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპებისა, აუცილებელია რომ დაცული იყოს ფასს 10-ში განსაზღვრული წარდგენის პრინციპები. აღნიშნული სტანდარტის მიხედვით, კონსოლიდაციის ერთადერთი საფუძველია კონტროლის არსებობა. კონტროლი არის საწარმოს ფინანსური და ოპერაციული პოლიტიკის განსაზღვრის შესაძლებლობა, მისი საქმიანობიდან სარგებლის მიღების მიზნით.

პირველ რიგში კომპანიამ უნდა შეაფასოს აკონტროლებს თუ არა ინვესტირებულ საწარმოს და შესაბამისად წარმოექმნება თუ არა კონსოლიდაციის ვალდებულება, მიუხედავად მისი წილის ფლობის ოდენობისა. კომპანია იმ შემთხვევაში აკონტროლებს ინვესტირებულ საწარმოს, როდესაც ადგილი აქვს შემდეგ მოვლენებს:

- გააჩნია ინვესტირებული საწარმოდან ცვალებადი შემოსავლის მიღების უფლება და ექვემდებარება რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ამ საწარმოდან ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან.
- აქვს უფლებამოსილება და შესაძლებლობა ზემოქმედება მოახდინოს ინვესტირებული საწარმოს შემოსავალზე და შესაბამისად, თავისი შემოსავლის ოდენობაზე [4, 35-7].



მშობელმა საწარმომ ინვესტირებულ საწარმოზე კონტროლი შეიძლება მოიპოვოს წილის 50%-ზე მეტის ფლობის დროს. ასევე შეიძლება ხელშეკრულების ან სხვა ოპერაციისა და გარიგების საფუძველზე აკონტროლებდეს ინვესტირებულ საწარმოს. მაგალითად, თუ არსებობს მშობელი საწარმოსა და ინვესტირებულ საწარმოს შორის ფრანშიზის ხელშეკრულება, შესაძლოა აღნიშნული ხელშეკრულება უფლებას აძლევდეს ფრანშიზის გამცემს მიიღოს სხვადასხვა გადაწყვეტილებები ინვესტირებულ საწარმოში თავის სასარგებლოდ და შემოსავლის გაზრდის მიზნით.

არსებობს შემთხვევები, როდესაც კომპანია ფლობს მმართველ პაკეტს საწარმოში, მაგრამ მაინც არ ხდება ამ კომპანიების ანგარიშგებების კონსოლიდაცია. როგორც ვნახეთ, კონსოლიდაცია ეფუძნება კონტროლის პრინციპს. რაც იმას ნიშნავს, რომ საწარმო შვილობილად ითვლება, რადგან მას აკონტროლებს მშობელი საწარმო. თუ არსებობს გრძელვადიანი მკაცრი აკრძალვა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მშობელი საწარმოს კონტროლის დაკარგვა ინვესტირებულ საწარმოზე, ეს უკანასკნელი კარგავს შვილობილის სტატუსს და მისი კონსოლიდირება საწარმოთა ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაში არ ხდება. კონტროლის დაკარგვის ასეთ შემთხვევას ადგილი აქვს, როდესაც შვილობილი საწარმო ექვემდებარება იმ ქვეყნის კანონებსა და დადგენილებებს, სადაც მოღვაწეობს, და თავისი ნების შესაბამისად ვერაფერს ცვლის მშობელი საწარმო.

პრაქტიკაში გვაქვს შემთხვევები, როდესაც შვილობილი საწარმო შექმნილია შემდეგი 12 თვის განმავლობაში გაყიდვის მიზნით. ასეთ შემთხვევაში არ ხდება ანგარიშგებების კონსოლიდაცია. ინვესტიცია აისახება მფლობელი საწარმოს ანგარიშგებაში (ერთ ხაზად) ფასს-5 „გასაყიდად გამიზნული აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები“-ის მიხედვით. ფინანსური აღრიცხვის სტანდარტები არ ვრცელდება არაარსებით ერთეულებზე. შესაბამისად, არც არაარსებითი შვილობილი საწარმოს აღრიცხვაა აუცილებელი და ამ შემთხვევაშიც არ არის სავალდებულო კონსოლიდირება ანგარიშგებებისა.

არსებითი საქმიანობა არის ინვესტირებული საწარმოების ისეთი საქმიანობა, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინვესტირებული საწარმოს შემოსავლებზე. არსებითი საქმიანობის მაგალითებია საოპერაციო პოლიტიკის განსაზღვრა, ინვესტიციასთან მიმართებაში გადაწყვეტილების მიღება, უფროსი მმართველი პერსონალის დანიშვნა, არსებითი ინვესტიციების მართვა.

მშობელმა საწარმომ სხვადასხვა გარიგებებისა და ფაქტორების გამო შესაძლებელია დაკარგოს კონტროლი ინვესტირებულ საწარმოზე. თუ სხვადასხვა გარემოებები მიუთითებს იმაზე, რომ კონტროლის ელემენტებიდან ერთ-ერთი მაინც შეიცვალა, აუცილებელია, კომპანიამ თავიდან შეაფასოს, შეუძლია თუ არა შვილობილი საწარმოს კონტროლი.

თუ შეფასების შედეგად დადგინდა, რომ მშობელმა საწარმომ დაკარგა კონტროლი შვილობილ საწარმოზე, ასეთ შემთხვევაში მშობელი საწარმო დარჩენილ ინვესტიციას აღიარებს რეალური ღირებულებით. ხოლო კონტროლის დაკარგავსთან დაკავშირებულ შემოსულობას ან ზარალს აღიარებს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ამასთანავე მშობელი საწარმო წყვეტს აქტივებისა (მათ შორის გუდვილის) და ვალდებულებების აღიარებას მათი საბალანსო ღირებულებით იმ თარიღისათვის, როდესაც დაკარგა კონტროლი და ამავე თარიღისათვის წყვეტს არამაკონტროლებელი წილის საბალანსო ღირებულების აღიარებას. **არამაკონტროლებელი წილი** არის შვილობილი საწარმოს კაპიტალის ნაწილი, რომელიც არ ეკუთვნის მშობელ საწარმოს არც პირდაპირ და არც არაპირდაპირ.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარმდგენია მშობელი საწარმო, რომელიც აკონტროლებს შვილობილ საწარმოს. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დაფუძნებულია მშობელი და შვილობილი კომპანიების წარმოდგენილ

ანგარიშგებებზე. წარმოდგენილი ანგარიშგებები შედგენილი უნდა იყოს ერთსა და იმავე სააღრიცხვო პოლიტიკაზე დაყრდნობით და ეხებოდეს იდენტურ პერიოდს. (მათ შორის აცდენა შესაძლებელია იყოს მაქსიმუმ 3 თვე).

კონსოლიდაციის დროს ხდება მშობელი და შვილობილი საწარმოების აქტივების, ვალდებულებების, საკუთარი კაპიტალის, შემოსავლების, ხარჯებისა და ფულადი ნაკადების ანალოგიური მუხლების გაერთიანება. ეს გაერთიანება არ ნიშნავს მექანიკურ შეკრებას. გაერთიანების დროს გასათვალისწინებელია მთელი რიგი ფაქტორები და ჩასატარებელია სხვადასხვა გაანგარიშებები და კორექტირებები. არამაკონტროლებელი წილის ასახვა ხდება ცალკე გამოყოფილად კაპიტალის ნაწილში.

შვილობილ საწარმოში განხორციელებული ინვესტიციის ოდენობა შესაძლოა განსხვავდებოდეს შეძენილი კომპანიის კაპიტალის ღირებულებისაგან. თუ წილის შესაძენად გადახდილი კომპენსაციის თანხა აღემატება შეძენილი საწარმოს კაპიტალის ღირებულებას (წილობრივი გათვალისწინებით), ადგილ აქვს გუდვილს, ხოლო თუ აღნიშნული კომპენსაციის თანხა ნაკლებია შეძენილი საწარმოს კაპიტალის ღირებულებაზე, სახეზეა ხელსაყრელი შესყიდვა.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება მშობელი საწარმოს ინვესტიცია შვილობილ საწარმოებში. იგი ელიმინირებულია და ასახულია შვილობილი საწარმოების აქტივებისა და კაპიტალის სახით. (მათ შორის გუდვილი). ხშირი შემთხვევაა, როდესაც ადგილი აქვს შიდა ჯგუფურ ოპერაციებს. მაგალითად ერთმანეთისთვის ხდება საქონლისა და მომსახურების მიწოდება, ფინანსური ოპერაციები და ა.შ. კონსოლიდაციის დროს მთლიანად ელიმინირდება შიდა ჯგუფური აქტივები, ვალდებულებები, შემოსავლები, ხარჯები და ფულადი ოპერაციები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფში შემავალ საწარმოთა შორის განხორციელებულ ოპერაციებთან. ამასთანავე, უგულებელყოფილი უნდა იყოს ისეთი სახის მოგება ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია შიდაჯგუფურ ოპერაციებთან და ასახულია მარაგების ან გრძელვადიანი აქტივების ანგარიშებზე.

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების კონსოლიდაცია

კომპანიამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს უნდა განახორციელოს შემდეგი პროცედურები:

1. განისაზღვროს საწარმოთა ჯგუფის სტრუქტურა;
2. გაანგარიშდეს თითოეული შვილობილი საწარმოს წმინდა აქტივები;
3. მოხდეს „ინვესტიციის“ მუხლის ელიმინირება;
4. განისაზღვროს გუდვილი;
5. გაანგარიშდეს არამაკონტროლებელი წილი;
6. განისაზღვროს ჯგუფის დაგროვილი მოგება;
7. მოხდეს შიდაჯგუფური ნაშთებისა და ოპერაციების ელიმინირება.

- საწარმოთა ჯგუფის სტრუქტურის განსაზღვრა სასარგებლოა იმ თავსაზრისით, რომ თვალნათლივ გამოჩნდეს საწარმოთა შორის არსებული სტრუქტურა და ურთიერთობა. კერძოდ საქმე გვაქვს შვილობილ, მეკავშირე თუ სხვა სახის საწარმოსთან. ეს ჩანაწერი საჭიროა განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც განვიხილავთ რთული შედგენილობის საწარმოთა ჯგუფს.

- თითოეული შვილობილი საწარმოს წმინდა აქტივების გაანგარიშება აჯამებს წმინდა აქტივების რაოდენობას შეძენისა და ანგარიშგების თარიღისათვის, საიდანაც ვღებულობთ წმინდა აქტივების ოდენობას შეძენის შემდგომ პერიოდში. გაანგარიშების სქემა შემდეგნაირად გამოიყურება:

მაჩვენებელი	შეძენის თარიღისათვის	ანგარიშგების თარიღისათვის	შეძენის შემდგომ
საწესდებო კაპიტალი	350000	350000	
საემისიო კაპიტალი			
რეზერვები			
რეალური ღირებულების კორექტირება	0	150000	150000
	350000	500000	150000

აღნიშნული მონაცემები გამოიყენება გუდვილის, წმინდა აქტივების არამაკონტროლებელი წილის პროპორციული მეთოდით შეფასებისა და ჯგუფის რეზერვების გამოთვლისას.

- შვილობილი საწარმოს დაფუძნების ან წილის შეძენის დროს, ასევე შვილობილ საწარმოში განხორციელებული შენატანები მშობელი საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება „ინვესტიციის“ მუხლით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს, შვილობილი საწარმოს არსებობის შემთხვევაში „ინვესტიციის“ მუხლი ელიმინირდება, რომელსაც ანაცვლებს შვილობილი საწარმოს წმინდა აქტივები (მათ შორის გუდვილი). ამასთან ერთად ანულირდება შვილობილი საწარმოს კაპიტალი და რეზერვები.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ჯგუფის სააქციო კაპიტალი მოიცავს მხოლოდ მშობელი საწარმოს სააქციო კაპიტალს.

- გუდვილის გაანგარიშება

გუდვილი წარმოიშობა საწარმოს შეძენის დროს. გუდვილი არის საწარმოთა გაერთიანების დროს, შეძენილი სხვა აქტივებიდან წარმოქმნილი მომავალი ეკონომიკური სარგებელი, რომელთა ცალკე იდენტიფიცირება და აღიარება შეუძლებელია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გუდვილი გაიანგარიშება, როგორც ინვესტიციაში გადახდილ ღირებულებასა და შეძენილი საწარმოს კაპიტალის რეალურ ღირებულებას შორის სხვაობა. თუ საწარმოს შესაძენად გადახდილია იმაზე მეტი, ვიდრე ამ საწარმოს კაპიტალის რეალური ღირებულებაა, ადგილი აქვს გუდვილს, რომელიც აისახება კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. გუდვილი ამორტიზაციას არ ექვემდებარება. ყოველწლიურად უნდა ხდებოდეს მისი ტესტირება გაუფასურებაზე. თუ ხდება ნაკლები თანხის ანაზღაურება, ვიდრე კომპანიის კაპიტალის რეალური ღირებულებაა, ადგილი აქვს ხელსაყრელ შესყიდვას, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა აღიარდეს მოგებად.

ფასს 3-ის მიხედვით არსებობს გუდვილის გაანგარიშების 2 მეთოდი:

- გუდვილის აღიარება პროპორციული მეთოდით;
- გუდვილის აღიარება რეალური ღირებულების მეთოდით.

გუდვილის პროპორციული მეთოდის დროს ხდება მხოლოდ მშობელი საწარმოს წილი გუდვილის ასახვა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

გუდვილი პროპორციული მეთოდით	(ლარი)
შეძენილი წილის ღირებულების კომპენსაცია	100,000
შეძენილი წმინდა აქტივები	
მშობელი საწარმოს წილი შვილობილი საწარმოს წმინდა აქტივებში შეძენის თარიღისათვის	(70,000)
კონსოლიდაციის გუდვილი (მშობელი საწარმოს წილი)	30,000

გუდვილი რეალური ღირებულებით	(ლარი)	
შეძენილი წილის ღირებულების კომპენსაცია	100,000	
შეძენილი წმინდა აქტივები		
მშობელი საწარმოს წილი შვილობილი საწარმოს წმინდა აქტივებში შეძენის თარიღისათვის	(70,000)	
მშობელი საწარმოს წილი გუდვილი		30,000
არამაკონტროლებელი წილის რეალური ღირებულება შეძენისას	40,000	
არამაკონტროლებელი წილის კუთვნილი ნაწილი წმინდა აქტივებში	(30,000)	
არამაკონტროლებელის წილი გუდვილი		<u>10,000</u>
სრული გუდვილი		40,000

რეალური ღირებულებით გუდვილის მეთოდის დროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ჯგუფის გუდვილი სრულად, როგორც მაკონტროლებელის წილი, ასევე არამაკონტროლებელის წილი გუდვილი.

პრაქტიკაში, ბოლო პერიოდში, ძირითადად ვხვდებით გუდვილის გაანგარიშებას რეალური ღირებულების მეთოდით. რა მეთოდითაც აღირიცხება გუდვილი, იგივე მეთოდით ხდება არამაკონტროლებელი წილის გაანგარიშებაც.

- **არამაკონტროლებელი წილის განსაზღვრა**

როგორც აღვნიშნეთ, არამაკონტროლებელი წილის და გუდვილის აღრიცხვა უნდა ხდებოდეს იდენტური მეთოდებით. კერძოდ, ან რეალური ღირებულებით შეძენის თარიღისათვის ან არამაკონტროლებელი წილის პროპორციული მეთოდით, შეძენილი საწარმოს წმინდა იდენტიფიცირებად აქტივებში.

არამაკონტროლებელი წილის აღრიცხვა რეალური ღირებულების მეთოდით მოიცავს, როგორც არამაკონტროლებელ წილს წმინდა აქტივებში საანგარიშგებო თარიღისათვის, ასევე გუდვილის ნაწილს, რომელიც ეკუთვნის არამაკონტროლებელ წილს. ხოლო არამაკონტროლებელი წილის აღრიცხვა პროპორციულობის მეთოდით მოიცავს მხოლოდ არამაკონტროლებელი წილის ნაწილს წმინდა აქტივებში საანგარიშგებო თარიღისათვის.

არამაკონტროლებელი წილის ასახვა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ხდება საკუთარი კაპიტალის ნაწილში ცალკე მუხლად.

აღსანიშნავია, რომ არამაკონტროლებელი წილის არსებობა მშობელ საწარმოს არ უზღუდავს კონტროლის უფლებას.

- **ჯგუფის დაგროვილი მოგების გაანგარიშება**

ჯგუფის საერთო მოგების გაანგარიშების დროს, უნდა გაიმიჯნოს შვილობილი საწარმოს „მოგება შეძენამდე“ და „მოგება შეძენის შემდეგ“. კონსოლიდაციის დროს, ჯგუფის მოგებაში აისახება:

- მშობელი საწარმოს მოგება სრულად (100%);
- შვილობილი საწარმოს „მოგება შეძენის შემდეგ“ მშობელი საწარმოს წილობრივი მაჩვენებლის შესაბამისად,
- მინუს გუდვილის გაუფასურება;
- მინუს ჯგუფის წილი არარეალიზებული მოგების (არსებობის შემთხვევაში).

ჯგუფის მოგების გაანგარიშებაში გაითვალისწინება მხოლოდ საწარმოს „შექმენის შემდეგ“ ერთად გამოიმუშავებული მოგება ან ზარალი, ხოლო „შექმენამდე არსებული მოგება“ კაპიტალიზდება და მონაწილეობას ღებულობს გუდვილის გაანგარიშებაში.

- **შიდა ჯგუფური ნაშთებისა და ოპერაციების ელიმინირება**

საწარმოთა ჯგუფის, როგორც ერთი მთლიანობის, მიერ ანგარიშგების მომზადებისას, ჯგუფის შიდა გარიგებები ანგარიშებიდან უნდა გამოირიცხოს. აქ იგულისხმება საწარმოთა შორის განხორციელებული სამეურნეო ოპერაციების ამსახველი დებიტორული დავალიანება, კრედიტორული დავალიანება, სესხი, ინვესტიცია და გრძელვადიანი აქტივების გადაცემა, შემოსავლები, ხარჯები, დივიდენდები.

ჯგუფის შიგნით განხორციელებულმა ოპერაციებმა შეიძლება გამოიწვიოს მოგება ან ზარალი, რომელიც ჯგუფის აქტივების სააღრიცხვო ღირებულებაში აისახება. როცა ასეთი აქტივები საანგარიშგებო თარიღისათვის კვლავ ჯგუფის მფლობელობაშია და კონსოლიდაციას ექვემდებარება, ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში მასთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი არარეალიზებულია და ჯგუფის შედეგებისა და აქტივების ასახვისას უნდა გაუქმდეს. გაუქმება უნდა მოხდეს სრულად, იმ შემთხვევაშიც კი, როცა სამეურნეო ოპერაციები ხორციელდება შვილობილ საწარმოსთან არამაკონტროლებელი წილის შემცველობით.

შიდაჯგუფური მოგება წარმოიშობა 2 შემთხვევაში:

- ჯგუფის ერთმა წევრმა მეორეს მიჰყიდა საქონელი, რომელიც შემსყიდველის მიერ სასაქონლო მარაგის სახით ინახება;
- ჯგუფის ერთმა წევრმა მეორეს მიჰყიდა საქონელი, რომელიც შემსყიდველისთვის გრძელვადიან აქტივს წარმოადგენს.

როდესაც ვახდენთ შიდაჯგუფური ოპერაციების ელიმინირებას, უნდა განვსაზღვროთ:

1) რომელი მხარეა „გამყიდველი“, ანუ რომელ საწარმოში წარმოიშვა არარეალიზებული მოგება.

2) არარეალიზებული მოგების სიდიდე და არარეალიზებული მოგების სიდიდით შემცირდეს გაუნაწილებელი მოგება და მარაგი, რითაც ანულირდება მოგება, ხოლო მარაგი დაიყვანება თვითღირებულებამდე.

როდესაც „გამყიდველი“ მხარე არის მშობელი საწარმო, არარეალიზებული მოგება ასახულია მშობელი საწარმოს მოგებაში, რომელიც სრულად არის შესული ჯგუფის მოგებაში. შესაბამისად კორექტირება უნდა გაკეთდეს მთლიანად ჯგუფის მოგების და მარაგის ცვლილებით.

როდესაც „გამყიდველი“ მხარე არის სრულად ფლობილი შვილობილი საწარმო, არარეალიზებული მოგება ასახულია შვილობილი საწარმოს მოგებაში, რომელიც ასევე სრულად აისახება ჯგუფის მოგებაში. კორექტირება უნდა გაკეთდეს, ამ შემთხვევაშიც, მთლიანად ჯგუფის მოგების და მარაგის ცვლილებით. თუ ჯგუფში ადგილი აქვს არამაკონტროლებელ წილს, მოგება განაწილებულია როგორც მშობელი საწარმოზე, ასევე არამაკონტროლებელ წილზე. შესაბამისად, არარეალიზებული მოგებაც უნდა გადანაწილდეს პროპორციის გათვალისწინებით.

ჩვენს მიერ განხილული ოპერაციები ასახავს შემთხვევას, როდესაც ერთი მხარე აწვდის მეორეს სასაქონლო მარაგს. თუ „გამყიდველმა“ მხარემ მიაწოდა საქონელი, რომელიც შემსყიდველისთვის გრძელვადიანი აქტივია, მაშინ გარდა ზემოთ აღწერილი ოპერაციებისა, ხდება ცვეთის კორექტირებაც.

საილუსტრაციოდ განვიხილოთ შემთხვევა, როდესაც X შვილობილმა კომპანიამ (რომლის 60%-ს ფლობს მშობელი საწარმო Y), Y-ს მიჰყიდა 25000 ლარად 20000 ლარის ღირებულების საქონელი, რომესაც მშობელი საწარმო იყენებს, როგორც გრძელვადიან აქტივს. აქტივს ცვეთა ერიცხება 5 წლის განმავლობაში წრფივი მეთოდით და სალიკვიდაციო ღირებულებაა 0. ასეთ შემთხვევაში კონსოლიდაციის დროს ადგილი ექნება შემდეგ კორექტორებს.

ა) „გამყიდველ“ მხარეს წარმოადგენს შვილობილი საწარმო, სადაც წარმოიქმნება არარეალიზებული მოგება 5000 ლარის ოდენობით (25000-20000).

ბ) აქტივის ცვეთა 1 წლის ბოლოს იქნება $25000/5=5000$ ლარი. ე.ი. 1 წლის ბოლოს აქტივის საბალანსო ღირებულებაა (უკვე მშობელი საწარმოში) 20000 ლარი (25000-5000 ლარი).

შიდა ჯგუფური რეალიზაცია რომ არ მომხდარიყო, აქტივი შვილობილი საწარმოს ბალანსზე იქნებოდა ასახული 16000 ლარად (20000-20000*20%).

გ) წარმოქმნილი სხვაობა 4000 ლარი უნდა დაკორექტირდეს გატარებებით როგორც თვითღირებულების ნაწილში, ასევე ცვეთის ნაწილში.

არარეალიზებული მოგების კორექტირება

არარეალიზებული მოგების ასახვა „დაგროვილი მოგების“ ანგარიშზე მოხდება და გაიყოფა ჯგუფსა და არამაკონტროლებელ წილს შორის.

ამასთანავე, შეიქმნება არარეალიზებული მოგების ანარიცხების ანგარიში, რომელიც გრძელვადიანი აქტივის გადაცემის ღირებულებას გაუთანაბრებს საწარმოთა ჯგუფისათვის მის თავდაპირველ ღირებულებას.

ნამეტი ცვეთის კორექტირება

ყოველწლიურად ნამეტი ცვეთის კორექტორების მიზნით, არარეალიზებული მოგების ანარიცხები შემცირდება 1000 ლარით. კონსოლიდირებული რეზერვები და არამაკონტროლებელი წილი დაკრედიტდება. 5 წლის შემდეგ, აქტივის სასარგებლო პერიოდის ბოლოს არარეალიზებული მოგების ანარიცხები სრულად აღდგება ანგარიშებში. ცვეთის კორექტირება ხდება გამყიდველი საწარმოს ანგარშებში.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარშებებში გრძელვადიანი აქტივი საბოლოოდ აისახება

გრძელვადიანი აქტივი	ღირებულება	ცვეთა	საბალანსო ღირებულება
ძირითადი საშუალება (25000-5000)	20000		
ცვეთა (5000-1000)		4000	16000

შიდაჯგუფური ოპერაციების დროს, როცა ხდება საქონლის ან მომსახურების მიწოდება, წარმოიქმნება ერთის მხრივ დებიტორული და მეორეს მხრივ კრედიტორული დავალიანება, ვიდრე არ მოხდება მხარეებს შორის ანგარიშსწორება. თუ

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არ მომხდარა ანგარიშსწორება, საჭიროა დაკორექტირდეს როგორც დებიტორ-კრედიტორული ანგარიშების ნაშთები, სადაც ასახულია ჯგუფში განხორციელებული ოპერაციის შედეგად არსებული ნაშთი.

თუ ადგილი ჰქონდა შიდა ჯგუფური ოპერაციის შესაბამის ანგარიშსწორებას, ე.ი. აქტივებისა და ვალდებულებების ანგარიშების ნაშთი არ მოიცავს აღნიშნული ოპერაციის შედეგს, შესაბამისად, ბალანსის კონსოლიდაციის დროს დასაკორექტირებელიც არაფერი იქნება. ელიმინირება შეეხება ფულადი ნაკადების ანგარიშგების კონსოლიდაციას.

არის შემთხვევა, როდესაც ჯგუფის შიგნით განხორციელებული ოპერაციის დროს ერთის მხრივ დებიტორული დავალიანებისა და მეორეს მხრივ, კრედიტორული დავალიანების ან მარაგების ნაშთები არ ემთხვევა ერთმანეთს. ეს ხდება მაშინ, როდესაც საქონელი ან ფული არის „გზაში“ და მიმღებ მხარეს აღნიშნული ოპერაცია ჯერ აღრიცხული არ აქვს. ასეთ დროს მაკორექტირებელ გატარებას მიმღების ბალანსში ავსახავთ ისე, რომ დავიყვანოთ შესაბამის ანგარიშებზე ნაშთები, თითქოს მარაგი ან ფული უკვე მიღებულია.

დივიდენდების და პროცენტების ელიმინირება

მშობელ და შვილობილ კომპანიებს შორის, გარდა საქონლისა და მომსახურების მიწოდებისა, ხორციელდება კუთვნილი დივიდენდებისა და პროცენტის გადახდის ოპერაციები, სესხის არსებობის შემთხვევაში.

ფასს 10-ის მიხედვით, უკვე გადახდილი დივიდენდები არ საჭიროებს არანაირ კორექტირებას, რადგან ისინი ასახულია, როგორც გადამხდელის, ასევე მიმღების ფინანსურ ანგარიშგებაში. კორექტირებას საჭიროებს, მხოლოდ გამოცხადებული და ჯერ არ გაცემული დივიდენდები, რომლებიც ასახულია როგორც მოთხოვნის ასევე ვალდებულების ანგარიშებზე. შესაბამისად კონსოლიდაციის დროს უნდა მოხდეს ამ ოპერაციის ელიმინირება.

თუ დივიდენდის გამოცხადება მოხდება ბალანსის შედგენის შემდეგ, ბასს 10-ის მიხედვით, ეს ოპერაცია არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. მხოლოდ ბალანსის შედგენამდე გამოცხადებული დივიდენდი მიიღებს მონაწილეობას ფინანსური ანგარიშგების შედგენაში.

დივიდენდების მსგავსად, ბალანსის კონსოლიდაციის დროს ანულირებას ექვემდებარება მხოლოდ მისაღები/გასაცემი პროცენტები, რომლებიც სესხის გამცემთან აღიარდება, როგორც მოთხოვნა „მისაღები პროცენტები“, ხოლო სესხის მიმღებთან აღიარდება როგორც ვალდებულება „გადასახდელი პროცენტები“. ეს ოპერაცია ანულირდება გატარებით

2. მოგება-ზარალის ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდაცია

კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგება გვიჩვენებს მოგებას, რომელიც შექმნილია შესაბამის კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ყველა რესურსიდან, ე.ი. მშობელი საწარმოსა და მისი შვილობილი საწარმოების წმინდა აქტივები.

მოგება-ზარალის ანგარიშგების კონსოლიდაციის დროს ხდება ყველა იდენტური მუხლის გაერთიანება. პროცედურები და გაანგარიშებები, რომლებიც ჩამოთვლილია ზემოთ გამოიყენება მოგება-ზარალის ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდაციის დროსაც.

თუ შვილობილი საწარმო შესყიდულ იქნა წლის განმავლობაში, შვილობილი საწარმოს შემოსავალი და ხარჯები დროის პროპორციულად უნდა განაწილდეს. ისევე როგორც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების კონსოლიდაციის დროს, მოგება-ზარალის ანგარიშგების კონსოლიდაციის შემთხვევაშიც, გასათვალისწინებელია ჯგუფის შიგნით განხორციელებული ოპერაციების ელიმინირება შემოსავლებიდან და რეალიზებული საქონლის თვითღირებულებიდან.

კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგების მომზადების დროს ხდება სტანდარტული გაანგარიშებების ჩატარება:

- კონსოლიდაციის ცხრილის შედგენა;
- ჯგუფის სტრუქტურის დიაგრამა;
- შვილობილი საწარმოს წმინდა აქტივები შეძენისას;
- გუდვილის გაანგარიშება;
- არამაკონტროლებელი წილის განსაზღვრა.

კონსოლიდაციის ცხრილი გამოიყენება, როგორც ინსტრუმენტი მშობელი და შვილობილი საწარმოების შემოსავლებისა და ხარჯების გასაერთიანებლად და ყველანაირი აუცილებელი კორექტირების ჩასატარებლად. იგი მოიცავს მშობელი საწარმოს შემოსავლების და ხარჯების 100%-ს, შვილობილი საწარმოს შემოსავლების და ხარჯების 100%, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საანგარიშგებო წელს ხდება საწარმოს შექმნა და კონტროლის დაწესება. ამ შემთხვევაში შემოსავლები და ხარჯების მიკუთვნება ხდება დროის პროპორციულად.

საილუსტრაციოდ განვიხილოთ შემთხვევა, როდესაც შპს „X“-მა შეიძინა შპს „Y“-ის 75%-იანი წილი საანგარიშგებო წლის 1 მარტს.

წარმოდგენილია ორივე კომპანიის მოგება-ზარალის ანგარიშგება, რის საფუძველზეც უნდა მოხდეს კონსოლიდაცია.

მაჩვენებელი	მშობელი საწარმო (ლარი)	შემნილი საწარმო (ლარი)	შემნილის კორექტირება დროის პროპორციულად (ლარი)	კონსოლიდირებული (ლარი)
ამონაგები	11,134,770	52,629	43,857.63	11,178,627.85
			-	-
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(3,460,648)		-	(3,460,647.68)
			-	-
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები	(1,588,419)	(49,886)	(41,571.88)	(1,629,991.29)
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	(149,550)	(8,336)	(6,946.61)	(156,496.46)
აუდიტორის ანაზღაურების ხარჯი	(6,000)		-	(6,000.00)
საკონსულტაციო ხარჯი	(250)		-	(250.00)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	(230)		-	(230.00)
იჯარის ხარჯი	(10,006)		-	(10,006.20)
ცვეთა და ამორტიზაცია	(49,857)	(21,134)	(17,612.00)	(67,469.34)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(218,161)	(8,445)	(7,037.68)	(225,198.68)
საოპერაციო მოგება	5,651,649	(35,173)	(29,311)	5,622,338
სხვა ფინანსური შემოსავალი	45,563	(684)	(570.28)	44,992.93
სხვა ფინანსური ხარჯი				
მოგება/(ზარალი) სესხის ვადამდელი დაფარვიდან				
მიღებული დივიდენდები				
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)				

მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	5,697,212	(35,857)	(29,881)	5,667,331
მოგების გადასახადი	(561)	(255)	(212.15)	(773.15)
მოგება/(ზარალი) განგრძობითი ოპერაციებიდან	5,696,651	(36,112)	(30,093)	5,666,558
შეწყვეტილი ოპერაციები			-	-
მოგება/(ზარალი)	5,696,651	(36,112)	(30,093)	5,666,558
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):				
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	5,696,651	(36,112)	(30,093)	5,666,558
მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი) განკუთვნილი:				-
მშობელი საწარმოს მფლობელთათვის				4,242,394.97
არამაკონტროლებელი წილის მფლობელთათვის	-	-	-	1,424,163.00

ჯგუფის სტრუქტურის დიაგრამა, შვილობილი საწარმოს წმინდა აქტივები შექმნისას, გუდვილის გაანგარიშება და არამაკონტროლებელი წილის განსაზღვრა წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების კონსოლიდაციის განხილვის დროს.

კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგება იყოფა ორ განყოფილებად:

- პირველ ნაწილში აისახება, თუ რა შედეგები იქნა მიღწეული მშობელი საწარმოს მიერ კონტროლირებადი აქტივებიდან. ამ განყოფილებაში სრულად აისახება მშობელი საწარმოს და მისი შვილობილი საწარმოს რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი, ხარჯი, საერთო მოგება, გადასახადი და მოგება ან ზარალი დაბეგვრის შემდეგ.

- მეორე ნაწილში აისახება წარმოდგენილი მოგებიდან (ან ზარალიდან) რამდენი ეკუთვნის მშობელ საწარმოს და რამდენი - არამაკონტროლებელი წილის მქონე პირებს.

აღსანიშნავია, რომ გადახდილი (გამოცხადებული) დივიდენდები არ აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ეს ოპერაციები აისახება საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში და ისიც მხოლოდ მშობელი საწარმოს მიერ თავისი აქციონერებისათვის გადახდილი დივიდენდები განიხილება. კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება მიღებული დივიდენდების ის ნაწილი,

რომელიც წარმოადგენს სხვა ინვესტიციებიდან მიღებულს, და არა შვილობილი ან მეკავშირე საწარმოებიდან.

3. ფულადი ნაკადების ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდაცია.

ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზანია მიაწოდოს მომხმარებლებს ინფორმაცია საწარმოს ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებში წარსულში მომხდარი ცვლილებების შესახებ. აღნიშნულ ანგარიშგებაში ხდება ფულადი ნაკადების კლასიფიცირება საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობის შედეგად.

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება მიიჩნევა ბიზნესის ღირებულების განმსაზღვრელ ფაქტორად, მნიშვნელოვანი ინფორმაციის მომცველია დაინტერესებული მხარისათვის, ანგარიშგების მომხმარებლისათვის, რადგან მასში ასახულია ინფორმაცია საწარმოთა ლიკვიდურობის, სიცოცხლისუნარიანობისა და ფინანსური ადაპტაციის უნარიანობის შესახებ.

ფულადი ნაკადების კონსოლიდაციის დროს ხდება შესაბამისი მუხლების გაერთიანება (შეკრება) წილობრივი პროპორციის გათვალისწინების გზით.

ბასს-7 მოითხოვს, რომ ფულადი ნაკადები, რომლებიც წარმოშობილია შვილობილ საწარმოებსა და სხვა სამეურნეო ერთეულებზე კონტროლის აღებასთან და დაკარგვასთან დაკავშირებით, ცალკე უნდა იქნეს წარდგენილი და კლასიფიცირებული, როგორც საინვესტიციო საქმიანობა.

4. საკუთარი კაპიტალის ცვლილების ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდაცია.

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება ასახავს კომპანიის ქონებას, რომელსაც ფლობს იგი ფულადი სახით, აქტივებისა და არამატერიალური აქტივების სახით.

საკუთარი კაპიტალის ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას კომპანიის დაფინანსების წყაროს შიდა რესურსების, საკუთარი სახსრების შესახებ.

აღნიშნული ანგარიშგების გამოყენებით განისაზღვრება:

- კომპანიის დამოკიდებულება გარე წყაროებზე;
- საწარმოს უნარი დააკმაყოფილოს დამფუძნებელთა მოთხოვნა;

- კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი;
- მისი ზრდისა და განვითარების შესაძლებლობა.

საკუთარი კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება მეტად ინფორმაციულია, რადგან ჯგუფში შემავალი კომპანიები ზემოქმედებენ ერთმანეთზე და შესაბამისად, ინვესტორისა და თუ სხვა მომხმარებლისათვის უმნიშვნელოვანესია ჯგუფის საერთო სურათის რეალური ხედვა.

საკუთარი კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში შეიტანება:

- საწესდებო (ან სააქციო) კაპიტალი - მხოლოდ მშობელი საწარმოს მონაცემი;
- რეზერვები - მხოლოდ მშობელი საწარმოს ინფორმაცია;
- გაუნაწილებელი მოგება - მშობელი საწარმოსი სრულად, შვილობილი საწარმოდან მხოლოდ მშობელი საწარმოს წილი.

გამოცხადებული დივიდენდები აისახება საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში, რომელიც ამცირებს გაუნაწილებელ მოგებას. შესაბამისად, გაითვალისწინება მხოლოდ მშობელი საწარმოს მიერ გამოცხადებული დივიდენდები თავისი აქციონერების (დამფუძნებლების) მიმართ.

მიღებული დივიდენდები არ არის კაპიტალის ცვლილების ანგარიშგების მუხლი და აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

თავი 2. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება შპს

„მონოლით ჯგუფის“ მაგალითზე.

2.1. კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება - საწარმოთა ჯგუფის ფინანსური ანგარიშგებაა, რომელშიც მშობელი საწარმოსა და შვილობილი საწარმოს აქტივები, ვალდებულებები, საკუთარი კაპიტალი, შემოსავლები, ხარჯები და ფულადი ნაკადები წარმოდგენილია, როგორც ერთი ეკონომიკური სუბიექტის აქტივები, ვალდებულებები, საკუთარი კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯები და ფულადი ნაკადები. (ბასს 27)

მშობელი საწარმო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ერთნაირი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებით, ანალოგიური ოპერაციებისა და ანალოგიურ ვითარებაში მომხდარი სხვა მოვლენების მიმართ. (ფასს 10)

შპს „მონოლით ჯგუფი“ წარმოადგენს სამშენებლო დეველოპერულ კომპანიას, რომელიც აშენებს საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ ფართებს და ახდენს მათ რეალიზაციას. კომპანიას აქვს სამშენებლო სექტორში მოღვაწეობის 12 წლიანი გამოცდილება. ამ დროის მანძილზე იგი სულ უფრო და უფრო ფართოვდება და ვითარდება.

შპს „მონოლით ჯგუფი“ (შემდგომში „მშობელი“ საწარმო) 2015 წლიდან ფლობს 75%-იან წილს შპს „ემ ჯი ალიანს“-ში, (შემდგომში „შვილობილი“ საწარმო“ რომელიც არის ასევე სამშენებლო დეველოპერული კომპანია. თავის მხრივ შპს „ემ ჯი ალიანსი“ არის 100%-იანი წილის მფლობელი კომპანია „არმლენდერში“, რომელიც შეიძინა ასევე სამშენებლო საქმიანობისათვის ბაზარზე წილის გაზრდის მიზნით. საწარმოს ჯგუფის სტრუქტურა სქემატურად წარმოდგენილია ქვემოთ.

შპს „მონოლით ჯგუფი“ ყოველწლიურად წარადგენს ფინანსურ ანგარიშგებას როგორც ინდივიდუალურს, ასევე კონსოლიდირებულს. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების დაცვით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას განჭვრეტად მომავალში. აღნიშნული პრინციპი განსაზღვრავს არა მხოლოდ საწარმოს განზრახვას გააგრძელოს ფუნქციონირება, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, არამედ მის უნარსაც.

იმისათვის რომ მოხდეს მონოლით ჯგუფის ფინანსური ანგარიშგებათა კონსოლიდაცია, წარმოდგენილია „მშობელი“ და „შვილობილი“ კომპანიების ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებები.

შპს „მონოლით ჯგუფის“ მშობელი საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება

დასახელება	2018	2017	2016
აქტივები	(ლარი)	(ლარი)	(ლარი)
ფული და ფულის ეკვივალენტები	307,936	1,803,616	805,210
გადახდილი ავანსები	178,726	145,611	1,350
გრძელვადიანი მარაგები	4,599,313	7,385,786	7,939,674
სავაჭრო მოთხოვნები	269,600		
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	6,343,011	3,141,490	832,290
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი	12,728	12,728	12,728
სხვა საგადასახადო აქტივი	7,717		
სხვა მიმდინარე აქტივები	108	108	111
სხვა არამატერიალური აქტივები	9,364	11,017	
ძირითადი საშუალებები	304,764	339,199	347,977
სულ აქტივები	12,033,266	12,839,555	9,939,339
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	818,623	2,797,522	1,864,574

სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	19,495	229,566	324,183
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	760,555	1,561,840	4,495,258
სულ ვალდებულებები	1,598,673	4,588,928	6,684,016
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	361,750	11,750	1,223,000
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	10,072,843	8,238,877	2,032,323
სხვა რეზერვები			
სულ საკუთარი კაპიტალი	10,434,593	8,250,627	3,255,323
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	12,033,266	12,839,555	9,939,339


შპს „ემ ჯი ალიანსის“ შვილობილი საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

დასახელება	2018	2017	2016
აქტივები	(ლარი)	(ლარი)	(ლარი)
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,559,462	95,260	11,163
გადახდილი ავანსები	671,150	191,248	18,392
გრძელვადიანი მარაგები	5,604,807	2,777,706	1,034,913
სავაჭრო მოთხოვნები	144,571	62,102	
სხვა საგადასახადო აქტივი	56,840	184,671	13,122
სხვა გრძელვადიანი აქტივები	6,214,357		
გუდვილი	751,472		
სხვა არამატერიალური აქტივები	692		
ძირითადი საშუალებები	252,617	213,563	
სულ აქტივები	15,255,968	3,524,550	1,077,590

ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	64,973	74,804	
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	215,504		
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	2,664,641	99,068	
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები	700		

სულ ვალდებულებები	2,945,818	173,872	-
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	6,654,311	3,391,490	1,082,290
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	5,655,839	(40,811)	(4,699)
სულ საკუთარი კაპიტალი	12,310,150	3,350,679	1,077,590
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	15,255,968	3,524,551	1,077,590

მას შემდეგ, რაც წარმოვადგინეთ ანგარიშგებები პროცედურულად ხდება ჯგუფის სტრუქტურის განსაზღვრა. მონოლით ჯგუფის შემთხვევაში სტრუქტურას აქვს შემდეგი სახე:



როდესაც ადგილი აქვს საწარმოს შექმნას, განისაზღვრება წმინდა აქტივების რეალური ღირებულება. ჩვენ შემთხვევაში შვილობილი საწარმოს ბალანსში ასახული

წმინდა აქტივები კორექტირებას არ საჭიროებს, რადგან კომპანიის შეძენას საანგარიშგებო წელს ადგილი არ ჰქონია.

2018 წელს შვილობილმა საწარმომ შპს „ემ ჯი ალიანსმა“ გადაწყვიტა გაფართოება ბაზარზე და განახორციელა ინვესტიცია შპს „არმლენდერში“ წილის შესყიდვის გზით. შესყიდულ იქნა წილის 100%.

განვსაზღვრეთ შპს „არმლენდერის“ წმინდა აქტივების რეალური ღირებულება ანგარიშგების შედეგისათვის.

დასახელება	შემენის თარიღისათვის (ლარი)	ანგარიშგების თარიღისათვის (ლარი)	შემენის შემდეგ (ლარი)
კაპიტალი	6,214,357	6,214,357	0
რეზერვები			
რეალური ღირებულების კორექტირება			
სულ	6,214,357	6,214,357	0

შემენის თარიღისათვის შპს „არმლენდერის“ იდენტიფიცირებადი აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებები წარმოდგენილია და განისაზღვრა გუდვილი.

დასახელება	რეალური ღირებულება (ლარი)
წილის შესაძენად გადახდილი კომპენსაცია	6,965,829
აქტივები	
ძირითადი საშუალებები	<u>6,214,357</u>

სულ აქტივები	6,214,357
ვალდებულებები	0
სულ იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივები	6,214,357
არამაკონტროლებელი წილი	0
შესყიდვის შედეგად მიღებული გუდვილი	751,472

კომპენსაცია 6,965,829 ლარი სრულად იქნა ანაზღაურებული შპს „ემ ჯი ალიანსის“ მიერ ფულადი სახით. შესყიდვის ოპერაციის შემდეგ წარმოიშვა გუდვილი.

გუდვილის ამორტიზება არ ხდება. იგი იტესტება ყოველწლიურად გაუფასურებაზე.

ანგარიშგებათა კონსოლიდაციამდე განისაზღვრა არამაკონტროლებელი წილი და ჯგუფის მოგება.

შვილობილი საწარმოს საკუთარი კაპიტალი	ლარი
საწესდებო კაპიტალი	6,654,311
გაუნაწილებელი მოგება	5,655,839
სულ საკუთარი კაპიტალი	12,310,150

არამაკონტროლებელი წილი	ლარი
შენატანი კაპიტალში	311,300
არამაკონტროლებლის მიერ	
გაუნაწილებელი მოგება	1,413,960
სულ საკუთარი კაპიტალი	1,725,260

ჯგუფის მოგება	ლარი
მშობელი საწარმოს მოგება	10,072,843
მოგება შვილობილი საწარმოდან (5,655,839*75%)	4241879,25
სულ ჯგუფის მოგება	14,314,722

სათაო საწარმო ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ფასების შესაბამისად. წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებების და გაანგარიშებების შესაბამისად წარმოდგენილია კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.

შპს „მონოლით ჯგუფის“ ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 31 დეკემბრის მდგომარეობით.

	2018	2017	2016
აქტივები	(ლარი)	(ლარი)	(ლარი)
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,867,398	1,898,876	816,373
გადახდილი ავანსები	849,876	336,859	19,742
გრძელვადიანი მარაგები	10,204,120	10,163,492	8,974,587
სავაჭრო მოთხოვნები	414,171	62,102	-
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი	12,728	12,728	12,728
სხვა სავადასახადო აქტივი	64,557	184,671	13,122
სხვა მიმდინარე აქტივები	108	108	111
სხვა გრძელვადიანი აქტივები	6,214,357	-	-
გუდვილი	751,472	-	-
სხვა არამატერიალური აქტივები	10,056	11,017	-
პირითადი საშუალებები	557,381	552,762	347,977
სულ აქტივები	20,946,224	13,222,615	10,184,640

ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	883,596	2,872,326	1,864,574
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	234,999	229,566	324,183
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	3,425,196	1,660,908	4,495,258
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები	700	-	-
სულ ვალდებულებები	4,544,491	4,762,800	6,684,016
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	361,750	11,750	1,223,000
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	14,314,722	8,198,065	2,027,624
სხვა რეზერვები			
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი	14,676,472	8,209,815	3,250,624
არამაკონტროლებელი წილი	1,725,260	250,000	250,000
სულ საკუთარი კაპიტალი	16,401,732	8,459,815	3,500,624
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	20,946,223	13,222,615	10,184,640

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შპს „მონოლით ჯგუფისა“ და მისი შვილობილი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც ჯგუფი კარგავს კონტროლს მასზე.

ინვესტიცია შვილობილ საწარმოში - შპს „მონოლით ჯგუფს“ ინვესტიციები განხორციელებული აქვს შვილობილ საწარმოში ფულადი სახსრების შენატანების გზით. აღნიშნული ინვესტიციები ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია გრძელვადიან აქტივებში. ანგარიშგებათა კონსოლიდაციის დროს ხდება ინვესტიციის

მუხლის ჩანაცვლება შვილობილი კომპანიის აქტივებითა და გუდვილით (წილობრივი მაჩვენებლის გათვალისწინებით).

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „მონოლით ჯგუფს“ შვილობილ კომპანიაში განხორციელებული აქვს 6,343,010 ლარის ინვესტიცია.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება - ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული დებიტორული დავალიანების მუხლი მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს, საგადასახადო აქტივებს, გადახდილ ავანსებს და სხვა მოკლევადიან აქტივებს.

ანგარიშგებაში ავანსები (როგორც გაცემული, ასევე მიღებული) ასახულია დღგ-ს გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ვერ ხდება აღნიშნულ ოპერაციაზე დღგ-ს ჩათვლა.

ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ კომპანიაში დებიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდი საშუალოდ არ სცილდება 30 დღეს საქონლის მიწოდებიდან. საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ნასყიდობის ხელშეკრულებებით კომპანია თითოეულ მყიდველს ავალდებულებს რომ საკონტრაქტო ღირებულების გარკვეული ნაწილი გადაიხადოს ავანსის სახით, გარდა იმ მყიდველებისა, რომლებიც ხელშეკრულების გაფორმებისთანავე სრულად ფარავენ ვალდებულებას.

ფულადი სახსრები და მოკლევადიანი დეპოზიტები - ფინანსური სახსრები და მოკლევადიანი დეპოზიტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოიცავს საბანკო ანგარიშებზე და კომპანიის სალაროში არსებულ თანხებს, ასევე მოკლევადიან დეპოზიტებს, რომლებიც არანაკლებ სამი თვისაა.

ფულადი ნაკადების ანგარიშგებისთვის, ფულადი სახსრები ან მათი ექვივალენტები შედგება ფულადი სახსრებისა და მოკლევადიანი დეპოზიტებისგან, მიმდინარე საბანკო ოვერდრაფტების გამოკლებით.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში - კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი (GEL). უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები აღიარდება ეროვნულ ვალუტაში ტრანზაქციის განხორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად გადახდილი ავანსების გათვალისწინებით.

2.2. მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასახავს ჯგუფის ერთიან შედეგებს, რაც მოიცავს ერთობლივ შემოსავლებსა და ხარჯებს, ასევე ერთობლივად შექმნილ მოგებას. ისევე როგორც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მოგება-ზარალის ანგარიშგებათა კონსოლიდაციის დროსაც ხდება შიდა ჯგუფური ოპერაციების ელიმინირება. რაც გულისხმობს, ჯგუფის შიგნით განხორციელებული ოპერაციების შედეგების კორექტირებას. მაგალითად თუ ჯგუფში შემავალ კომპანიებს შორის განხორციელდა საქონლის მიწოდება, რომელიც საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის არის მარაგში, მისი ღირებულება უნდა დაკორექტირდეს ჯგუფის მიმართ არსებულ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაცი ღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე. კერძოდ, კონსოლიდაციის ცხრილში კორექტირების სვეტში აისახება როგორც ამონაგების ცვლილება, ასევე რეალიზებული საქონლის თვითღირებულების ცვლილება. ორივე მაჩვენებელი დაკორექტირდება არარეალიზებული მოგების ოდენობით. ჩვენს კონკრეტულ მაგალითში ელიმინირება არ ხდება, რადგან არ გვაქვს სასაქონლო მარაგები, რომლებიც მოიცავენ შიდაჯგუფურ ოპერაციებს. შესაბამისად, ჯგუფში არ გვაქვს არარეალიზებული მოგება.

შპს მონოლით ჯგუფის მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგება მოიცავს მშობელი საწარმოს შემოსავლებისა და ხარჯების 100%, ასევე შვილობილი საწარმოს შემოსავლებისა და ხარჯების 100%. აღსანიშნავია, რომ შპს „არმლენდერში“ არანაირ ოპერაციას ადგილი არ ჰქონია 2018 წლის განმავლობაში.

წარმოდგენილია „მშობელი“ და „შვილობილი“ საწარმოების ინდივიდუალური მოგება-ზარალის ფინანსური ანგარიშგებები.

შპს „მონოლით ჯგუფის“ მოგება-ზარალის ინდივიდუალური ანგარიშგება

დასახელება	საანგარიშგებო პერიოდი (ლარი)	წინა საანგარიშგებო პერიოდი (ლარი)
ამონაგები	9,738,290	14,888,307
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(5,885,787)	(7,135,910)
საერთო მოგება	3,852,503	7,752,397
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები	(1,053,132)	(800,377)
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	(42,699)	(214,891)
აუდიტორის ანაზღაურების ხარჯი	(14,000)	
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	(4,999)	(5,217)
ხარჯად აღიარებული ჯარიმები და საურავები	(320)	(1,888)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	(9,974)	(438)
იჯარის ხარჯი	(20,109)	(24,233)
ცვეთა და ამორტიზაცია	(57,245)	(65,122)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(652,038)	(133,492)
საოპერაციო მოგება	1,997,987	6,506,739
სხვა ფინანსური შემოსავალი	8,285	3,131
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	(40,728)	12,474
მთლიანი სრული მოგება/ (ზარალი)	1,965,544	6,522,344

შპს „ემ ჯი ალიანსის“ მოგება-ზარალის ფინანსური ანგარიშგება

დასახელება	საანგარიშგებო პერიოდი (ლარი)	წინა საანგარიშგებო პერიოდი (ლარი)
ამონაგები	11,134,770	52,629
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(3,460,648)	
საერთო მოგება	7,674,123	52,629
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები	(1,588,419)	(49,886)
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	(149,550)	(8,336)
აუდიტორის ანაზღაურების ხარჯი	(6,000)	
საკონსულტაციო ხარჯი	(250)	
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	(230)	

იჯარის ხარჯი	(10,006)	
ცვეთა და ამორტიზაცია	(49,857)	(21,134)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(218,161)	(8,445)
საოპერაციო მოგება	5,651,649	(35,173)
სხვა ფინანსური შემოსავალი	45,563	(684)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	5,697,212	(35,857)
მოგების გადასახადი	(561)	(255)
მთლიანი სრული მოგება/ (ზარალი)	5,696,651	(36,112)

შპს „მონოლით ჯგუფის“ მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 31 დეკემბრის მდგომარეობით.

დასახელება	საანგარიშგებო პერიოდი (ლარი)	წინა საანგარიშგებო პერიოდი (ლარი)
ამონაგები	18,089,368	14,927,779
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(8,481,273)	(7,135,910)
საერთო მოგება	9608095	7791869
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები	(2,244,447)	(837,792)
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	(154,861)	(221,143)
აუდიტორის ანაზღაურების ხარჯი	(4,500)	-
საკონსულტაციო ხარჯი	(188)	-
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	(4,999)	(5,217)
ხარჯად აღიარებული ჯარიმები და საურავები	(320)	(1,888)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	(10,147)	(438)
იჯარის ხარჯი	(27,614)	(24,233)
ცვეთა და ამორტიზაცია	(94,638)	(80,973)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(829,659)	(139,826)

საოპერაციო მოგება	6,236,723	6,480,359
სხვა ფინანსური შემოსავალი	42,457	2,618
სხვა ფინანსური ხარჯი	-	-
მიღებული დივიდენდები	-	-
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	(40,728)	12,474
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	6,238,453	6,495,451
მოგების გადასახადი		
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	6,238,453	6,495,451
მოგება/(ზარალი) განკუთვნილი:		
მშობელი საწარმოს მფლობელთათვის	4,814,290	6,504,479
არამაკონტროლებელი წილის მფლობელთათვის	1,424,163	(9,028)
მოგება/(ზარალი)	6,238,453	6,495,451

2.3. ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

ფულადი ნაკადების ანგარიშგება ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლებს საშუალებას აძლევს შეაფასონ საწარმოს მიერ ფულადი საშუალებების და მათი ექვივალენტების გამომუშავების შესაძლებლობა და საწარმოს მოთხოვნილება ფულადი საშუალებების გამოყენებაზე. ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებისას უნდა გაერკვნენ საწარმოს მიერ ფულადი საშუალებებისა და მათი ექვივალენტების გამომუშავების შესაძლებლობებში, მის დროულობასა და საიმედოობაში. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ფულადი ნაკადების ანგარიშგება, რომელიც არეგულირებს საწარმოს ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების მოძრაობას, მის ცვლილებებს, ფულადი ნაკადების კლასიფიცირებას საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობიდან გამომდინარე, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება, როგორც ფინანსური ანგარიშგების შემადგენელი ნაწილი და მისი კომპონენტი, ინფორმაციის მომხმარებელს საშუალებას აძლევს შეაფასოს საწარმოს წმინდა აქტივებში მომხდარი ცვლილებები, მისი ფინანსური

სტრუქტურა, ლიკვიდობა გადახდისუნარიანობა და საწარმოს შესაძლებლობა - დროულად მოახდინოს რეაგირება ფულადი სახსრების რაოდენობრივ მხარეზე, ვითარებისა და პირობების შესაბამისად. ინფორმაცია ფულადი ნაკადების შესახებ აუცილებელია იმისათვის, რომ მომხმარებელმა არა მარტო შეაფასოს საწარმოს ფულადი საშუალებებისა და მათი ექვივალენტების გამომუშავების შესაძლებლობა, არამედ აგრეთვე შეაფასოს და ერთმანეთს შეუდაროს სხვადასხვა საწარმოს მომავალი პერიოდის ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება. გამორიცხავს რა ფულად სახსრებთან დაკავშირებული ოპერაციებისა და მოვლენების მიმართ ბუღალტრული აღრიცხვის სხვადასხვა მეთოდის გამოყენებას, იგი ასევე ზრდის სხვადასხვა საწარმოს საქმიანობის შედეგების შესადარისობას.

ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში წარმოდგებილია ისეთი ინფორმაცია, როგორცაა: საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები, პროცენტები და დივიდენდები, მოგების გადასახადი, ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში, მეკავშირე საწარმოებსა და ერთობლივ საქმიანობებში.

შპს „მონოლით ჯგუფის“ ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 31 დეკემბრის მდგომარეობით

დასახელება	საანგარიშგებო პერიოდი (ლარი)	წინა საანგარიშგებო პერიოდი (ლარი)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	19,557,993	14,814,209
მომწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	-6,803,127	-5,941,526
თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები	-3,569,656	-2,171,138
სხვა საოპერაციო ხარჯები	-404,590	-412,141
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი ნაკადები	8,780,619	6,289,403
გადახდილი პროცენტი	0	0

საბიუჯეტო გადასახდლები	-3,355,958	-2,870,299
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	5,424,661	3,419,104
	0	0
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	0	0
ინვესტიცია შვილობილ საწარმოში	-5,230,369	-50,891
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	-48,554	-203,708
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	0	0
მიღებული დივიდენდი	-3,235,500	-2,306,200
კაპიტალის ზრდა/შემცირება	2,822,600	518,400
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	-5,691,824	-2,042,400
	0	0
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	0	0
გაცემული დივიდენდები	-125,000	-300,000
გრძელვადიანი სესხის დაფარვა	0	0
მიღებული სესხი	0	39,340
გაცემული სესხი	0	-44,500
მიღებული პროცენტი	0	3,114
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	-125,000	-302,046
	0	0
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტების ზრდა	-392,162	1,074,658
საკურსო სხვაობით მიღებული შემოსავალი/ხარჯი	-5,364	-13,180
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტებია ზრდა/შემცირება	-397,527	1,061,478
ფულადი სახსრები წლის დასაწყისში	1,875,061	813,582
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	1,477,533	1,875,061

შპს „მონოლით ჯგუფი“ ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია პირდაპირი მეთოდით. როგორც ანგარიშგებიდან ჩანს, კომპანიის საქმიანობა ძირითადად ფინანსდება საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადებით.

საოპერაციო საქმიანობა მოიცავს:

- ფართების რეალიზაციიდან შემოსულ ფულად ნაკადებს;
- საქონლისა და მომსახურების შესაძენად გასულ თანხებს;
- საწარმოო და ადმინისტრაციულ ხელფასის დანახარჯებს;
- გადახდილ სესხის პროცენტებს;
- ადმინისტრაციული ხარჯებისათვის გასულ ფულად სახსრებს.

საინვესტიციო საქმიანობა მოიცავს გრძელვადიანი აქტივებისა და იმ სხვა ინვესტიციათა შეძენა-რეალიზაციას, საიდანაც მოსალოდნელია სამომავლო შემოსავლები, როგორცაა:

- გრძელვადიანი აქტივების, ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები;
- გრძელვადიანი აქტივების, ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები;
- ინვესტიციები შვილობილ და სხვა საწარმოებში, შეძენილი წილისთვის გადახდილი თანხები;
- ინვესტირებული კომპანიის წილის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები;
- ინვესტირებული კომპანიიდან მიღებული დივიდენდები.

საფინანსო საქმიანობა მოიცავს:

- მიღებულ და გაცემულ სესხებს;
- მიღებულ სესხის პროცენტებს;
- გადახდილ დივიდენდებს;
- სავალუტო ოპერაციებს.

როგორც ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებიდან ჩანს, მონოლით ჯგუფს აქვს განხორციელებული მნიშვნელოვანი ინვესტიციები, რამაც გამოიწვია საანაგრიშგებო წლის ბოლოს ფულადი ნაკადების უარყოფითი მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით. თუმცა ეს არ არის უარყოფითი მაჩვენებელი, რადგან კომპანიას

აქვს გრძელვადიანი გეგმები, და მოელის მნიშვნელოვან მოგებას მომავალში ინვესტირებული თანხებიდან.

2.4 კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

კაპიტალის ცვლილების ფინანსური ანგარიშგება მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებელია, განსაკუთრებით სამშენებლო დარგში მოღვაწე კომპანიებისათვის. ამ ანგარიშგების მონაცემები საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ კომპანიის კაპიტალიზაციის დონე. მისი უნარი საკუთარი ძალებით დააფინანსოს ჯგუფის მიმდინარე და მომავალი პროექტები. შესაბამისად, ჩანს მომავალში ფუნქციონირებადობისა და მისი ზრდა-განვითარების უნარი.

კაპიტალის ცვლილების ფინანსური ანგარიშგებიდან შესაძლებელია დავასკვნათ, რამდენად ეფექტურად არის გამოყენებული კომპანიის რესურსი და გაამართლა თუ არა შედეგმა მოლოდინები.

კაპიტალის ცვლილების ფინანსური ანგარიშგება საინტერესოა გარე მომხმარებლებისთვისაც, რადგან მასში ასახულია კომპანიის რეალური ღირებულება. ჯგუფის კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მონაწილეებს:

- მხოლოდ მშობელი საწარმოს საწესდებო კაპიტალი;
- მშობელი საწარმოს გაუნაწილებელი მოგება და შვილობილი საწარმოს გაუნაწილებელი მოგება არამაკონტროლებელი წილის გარეშე.
- გამოცხადებულ დივიდენდებში ასახულია „მშობელი“ საწარმოს მიერ გამოცხადებული დივიდენდები.

მშობელი საწარმოს კაპიტალის ცვლილების ინდივიუალური ანგარიშგება

დასახელება	საწესდებო კაპიტალი (ლარი)	გაუნაწილებელი მოგება / ზარალი (ლარი)	სულ საკუთარი კაპიტალი (ლარი)
ადრე წარმოდგენილი ნაშთი წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღისთვის	1,223,000	2,032,323	3,255,323
ახალი ან განახლებული სტანდარტების მიღების ეფექტი			-
გამოვლენილი შეცდომების შესწორების ეფექტი			-
დაკორექტირებული ნაშთი წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღისთვის	1,223,000	2,032,323	3,255,323
მოგება / (ზარალი)		6,522,345	6,522,345
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი)			-
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		8,554,668	8,554,668
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	(1,211,250)		(1,211,250)
წილობრივი გადახდის საფუძველზე გაზრდილი სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')			-
წილობრივი გადახდა			-
საკუთარი აქციების:			-
შესყიდვა			-
გაყიდვა			-
საწარმოთა გაერთიანება			-
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის რეალიზაცია			-
დივიდენდის გამოცხადება		(315,790)	(315,790)
სხვა			-
ნაშთი წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	11,750	8,238,878	8,250,628
			-
მოგება / (ზარალი)		1,965,544	1,965,544
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი)			-
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		10,204,422	10,204,422

ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	350,000		350,000
წილობრივი გადახდის საფუძველზე გაზრდილი სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')			-
წილობრივი გადახდა			-
საკუთარი აქციების:			-
შესყიდვა			-
გაყიდვა			-
საწარმოთა გაერთიანება			-
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის რეალიზება			-
დივიდენდის გამოცხადება		(131,579)	(131,579)
სხვა			-
ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	361,750	10,072,843	10,434,593

„შვილობილი“ საწარმოს კაპიტალის ცვლილების ინდივიუალური ანგარიშგება

	სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
--	---	-------------------------------	-----------------------

ადრე წარმოდგენილი ნაშთი წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღისთვის	1,082,290	(4,699)	1,077,590
ახალი ან განახლებული სტანდარტების მიღების ეფექტი			-
გამოვლენილი შეცდომების შესწორების ეფექტი			-
დაკორექტირებული ნაშთი წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღისთვის	1,082,290	(4,699)	1,077,590
მოგება / (ზარალი)		(36,112)	(36,112)
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი)			-
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-	(36,112)	(36,112)

ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა' , კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	2,309,200		2,309,200
წილობრივი გადახდის საფუძველზე გაზრდილი სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')			-
წილობრივი გადახდა			-
საკუთარი აქციების:			-
შესყიდვა			-
გაყიდვა			-
საწარმოთა გაერთიანება			-
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის რეალიზება			-
დივიდენდის გამოცხადება			-
სხვა			-
ნაშთი წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	3,391,490	(40,811)	3,350,679
			-
მოგება / (ზარალი)		5,696,650	5,696,650
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი)			-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	3,391,490	5,696,650	9,088,140
			-
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა' , კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	3,262,821		3,262,821
წილობრივი გადახდის საფუძველზე გაზრდილი სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')			-
წილობრივი გადახდა			-
საკუთარი აქციების:			-
შესყიდვა			-

გაყიდვა			-
საწარმოთა გაერთიანება			-
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის რეალიზება			-
დივიდენდის გამოცხადება			-
სხვა			-
ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	6,654,311	5,655,839	12,310,150

**შპს „მონოლით ჯგუფის“ კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგება 31 დეკემბრისათვის**

	სააქციო კაპიტალი (შპს- ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი') (ლარი)	გაუნაწილებელი მოგება / ზარალი (ლარი)	სულ საკუთარი კაპიტალი (ლარი)
ადრე წარმოდგენილი ნაშთი წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღისთვის	1,223,000	2,028,799	3,251,799
ახალი ან განახლებული სტანდარტების მიღების ეფექტი			-
გამოვლენილი შეცდომების შესწორების ეფექტი			-
დაკორექტირებული ნაშთი წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღისთვის	1,223,000	2,028,799	3,251,799
			-
მოგება / (ზარალი)		6,495,261	6,495,261
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი)			-
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	1223000	8,524,060	8,524,060
			-
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	(1,211,250)		(1,211,250)

წილობრივი გადახდის საფუძველზე გაზრდილი სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')			-
წილობრივი გადახდა			-
საკუთარი აქციების:			-
შესყიდვა			-
გაყიდვა			-
საწარმოთა გაერთიანება			-
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის რეალიზება			-
დივიდენდის გამოცხადება		(315,790)	(315,790)
სხვა			-
ნაშთი წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	11,750	8,208,270	8,220,020
			-
მოგება / (ზარალი)		6,238,032	6,238,032
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი)			-
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		14,446,301	14,446,301
			-
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	350,000		350,000
წილობრივი გადახდის საფუძველზე გაზრდილი სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')			-
წილობრივი გადახდა			-
საკუთარი აქციების:			-
შესყიდვა			-
გაყიდვა			-
საწარმოთა გაერთიანება			-
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის რეალიზება			-
დივიდენდის გამოცხადება		(131,579)	(131,579)
სხვა			-
ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	361,750	14,314,722	14,676,472

კომპანიის ხელმძღვანელობა დიდ ყურადღებას აქცევს საწარმოს სხვადასხვა მაჩვენებლებს და რეგულარულად აკონტროლებს მათ. ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, როდესაც კომპანია ვერ ასრულებს გადახდის ვალდებულებებს ნორმალურ და სტრესულ გარემოებებში. ლიკვიდურობის რისკი იმართება ფულადი ნაკადების მოკლე,

საშუალო და გრძელვადიანი პროგნოზით, ასევე ამ პროგნოზებისა და არსებული ფულადი სახსრების მონიტორინგით. მოკლევადიანი ლიკვიდობის კოეფიციენტით იზომება მიმდინარე აქტივების ადეკვატურობა ვალდებულების დაფარავის შესაძლებლობის თვალსაზრისით. ამ კოეფიციენტის მაღალი დონე შეიძლება უსაფრთხო ჩანდეს, მაგრამ ყურადღება მისაქცევია არ იყოს განპირობებული დებიტორების ან მარაგების მაღალი დონით. 2017 წ. ამ კოეფიციენტის მაღალი დონე განპირობებულია სწორეთ მარაგების მაღალი დონით, გარკვეულწილად 2018 წელსაც. რაც შეეხება სწრაფილიკვიდობის კოეფიციენტს მარაგებს გამორიცხავს და საწარმოს უფრო მკაცრად აფასებს-აქვს თუ არა მას საკმარისი რესურსი (დებიტორული დავალიანება და ფულადი რესურსი), რომ დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები. სამშენებლო დარგისათვის ნორმალურ დონედ მიიჩნევა 1:1 დან 0.7:1 შეფარდება რასაც 2018 წლის მონაცემი აკმაყოფილებს და გვიჩვენებს რომ საწარმოს არ უდგას ლიკვიდობის პრობლემა.

კომპანიას მყიდველებთან დადებული ხელშეკრულებები აქვს დოლარში. ავანსების მიღება ხორციელდება წინასწარ ეტაპობრივად, რაც წარმოშობს სავალუტო რისკებს, თუმცა კომპანია სავალუტო რისკების ჰეჯირებას ახდენს მიღებული თანხების მომწოდებლებთან გადახდებში, და სავალუტო ანგარიშებზე თანხების აკუმულირებით. შესაბამისად კომპანიას არ აქვს მაღალი სავალუტო რისკი.

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებს, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკებზე დამოკიდებულების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის დონზე.

დარგში საბაზრო ფასის ცვლილების ტენდენცია დადებითია, შესაბამისად კომპანიის საბაზრო რისკი მინიმალურია.

დასკვნა

ნებისმიერი საწარმო, თუ საწარმოთა ჯგუფი იქმნება, მოგების მიღების მიზნით. თითოეული ორგანიზაცია საქმიანობის წარმართვის პარალელურად უნდა აკონტროლებდეს, რამდენად სწორად მიიწევს დასახული მიზნისაკენ. ამის შესამოწმებლად კი მნიშვნელოვანია, რომ კომპანია ფლობდეს საიმედო და შესაბამის ინფორმაციას თავისი საქმიანობის შესახებ. ასეთ ინფორმაციას წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგება, რომელიც უნდა იყოს წარმოდგენილი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რათა მონაცემები იყოს შესაბამისი და სამართლიანად წარდგენილი.

ნაშრომში განხილულია ფინანსური ანგარიშგების როლი და მათი კონსოლიდაცია. განმარტებულია რა პრინციპების დაცვით უნდა ხდებოდეს ფინანსური ანგარიშგების მომზადება და კონსოლიდაცია.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ანალიზის შედეგად განხილულია, თუ რა ინფორმაციის მატარებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თითოეული კომპონენტი და რატომ არის მნიშვნელოვანი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების წარდგენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად.

ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია მნიშვნელოვანია როგორც შიდა, ისე გარე მომხმარებლებისთვის, რათა მათ სწორად შეაფასონ არსებული სიტუაცია და შეძლონ სწორი პროგნოზების გაკეთება, სამომავლო გადაწყვეტილებების მისღებად.

ნაშრომში წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტის შედგენის თავისებურებები. ის ნიუანსები, რომლებიც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ანგარიშგებათა კონსოლიდაციის დროს.

მშობელმა საწარმომ მაქსიმალურად უნდა დაიცვას სტანდარტის მოთხოვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, რათა წარმოდგენილი მონაცემები სასარგებლო და ინფორმაციული იყოს მისი მომხმარებლებისათვის.

ნაშრომში განხილულია ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცედურები, რომლებიც წინ უსწრებს კონსოლიდირებული ანგარიშგების მომზადებას. ზოგადად, ანგარიშგებათა კონსოლიდაცია შედარებით რთული პროცესია, ვიდრე საერთო

დანიშნულების ანგარიშების მომზადება. გამოყენებული სტანდარტების რეკომენდაციები, როგორც ფასს 3 „საწარმოთა გაერთიანება“, ფასს 10 „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“, ფასს 13 „რეალური ღირებულების შეფასება“, ბასს 27 „ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება“ და ა.შ., მაქსიმალურად უნდა იქნეს დაცული და გათვალისწინებული.

წარმოდგენილი კვლევიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ანგარიშგებათა კონსოლიდაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საფუძველს წარმოადგენს კონტროლის არსებობა. ასევე, განხილულია შემთხვევები, როდესაც კომპანიას არ აქვს ვალდებულება მოახდინოს ჯგუფის ანგარიშგებათა კონსოლიდაცია.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენის თავისებურებას წარმოადგენს შიდა ჯგუფური ოპერაციების ელიმინირება, რაც არ ხდება საერთო და ინდივიდუალური ანგარიშგების მომზადების დროს. გარდა ამისა, კონსოლიდაციის პროცესის დროს გაიანგარიშება ისეთი მაჩვენებლებიც, რომელსაც არ საჭიროებს ინდივიდუალური ანგარიშგება, როგორცაა არამაკონტროლებელი წილი და გუდვილი. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გუდვილი შეიძლება წარმოიქმნას მხოლოდ საწარმოს შექმნის დროს, როდესაც შემქმნი კომპანიის მიერ გადახდილი კომპენსაცია აღემატება შექმნილი კომპანიის წმინდა აქტივების რეალურ ღირებულებას.

ჯგუფის მოგების გაანგარიშების პრინციპი მნიშვნელოვნად განსხვავდება ცალკეული კომპანიის მოგების გაანგარიშებისაგან. აღსანიშნავია, რომ ჯგუფის მოგების გაანგარიშებაში გაითვალისწინება მშობელი საწარმოს სრული მოგება და შვილობილი საწარმოს მოგების მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც შეიქმნა საწარმოს შექმნის შემდეგ ერთობლივად.

ნაშრომში ასახულია, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია წილობრივი მაჩვენებლების ზუსტი გაანგარიშება.

წილობრივი მონაცემები გასათვალისწინებელია ფულადი ნაკადების ანგარიშგების კონსოლიდაციის დროს, სადაც შვილობილი საწარმოს მონაცემები აიღება ფლობილი წილის პროპორციულად.

ნაშრომში განხილულია საქართველოს ბაზარზე მოღვაწე შპს „მონოლით ჯგუფის“ კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, მოგება-ზარალის

ანგარიშგება, ფულადი ნაკადების ანგარიშგება და საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება, რომლებიც შედგენილია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე მიერ შემუშავებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

შპს „მონოლით ჯგუფი“ და მისი შვილობილი კომპანია იყენებს ერთიან სააღრიცხვო პოლიტიკას და ინდივიდუალური ანგარიშგება მომზადებულია ერთი და იგივე საანგარიშგებო თარიღით.

ჩატარებული კვლევის შედეგად გაკეთდა შესაბამისი დასკვნა და რეკომენდაციები, რომლებმაც შემდგომში ჰპოვა ასახვა:

- შემუშავდა ერთიანი მართვის სისტემა;
- შემუშავდა ერთიანი მიდგომები იდენტური საკითხების გადაწყვეტის მიმართ ;
- შემუშავებულია ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკა;
- დანერგილია კომპანიების ერთიანი მართვის სისტემა;
- დანერგილია ერთიანი ანგარიშთა გეგმა.

ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდაციის დროს გათვალისწინებულია ყველა ზემოთ ჩამოთვლილი რეკომენდაცია და სტანდარტი. შესაბამისად წარმოდგენილი ინფორმაცია უტყუარად და სამართლიანად ასახავს ჯგუფში არსებულ მდგომარეობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, 2019წ.
2. ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები, 2020წ.
3. ფასს 3 - საწარმოთა გაერთიანება, 2020 წ;
4. ფასს 10 - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, 2020წ;
5. ფასს 13 - რეალური ღირებულების შეფასება, 2020წ;
6. ფასს 15 - ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან, 2020წ;
7. ბასს 7 - ფულადი ნაკადების ანგარიშგება, 2020წ;
8. ბასს 8 - სააღრიცხო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხო შეფასებებში და შეცდომები, 2020წ;
9. ბასს 27 - ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, 2020წ.
10. ბასს 28 - ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში, 2020წ
11. ბასს 36 - აქტივების გაუფასურება, 2020 წ;
12. კორპორაციული ანგარიშგება, კვატაშიძე ნ, თბილისი, 2019 ;
13. ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები, ხარაბაძე ე, თბილისი, 2018;
14. <http://www.auditgroup.ge/page.php?id=44>

დანართი 1

Ivane Javakhishvili Tbilisi State University



Ketevan Amanatashvili

Principles preparation of consolidate financial statements
on the example of Monolith Group LTD

Faculty of Economic and business

Specialty: Business Administration

Module: Accounting and Auditing

Mentor: Associate Professor

Nadezhda Kvatashidze

Tbilisi

2020